

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

„-02-„-07-„ 2015 წელი

2 ეგზ.

შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური
საავადმყოფო“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 12/105

2013 წლის 1 იანვარი - 2013 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

აუდიტის ანგარიში

შემოკლებანი:	4
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	4
ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების მიღება, აღრიცხვა და გამოყენება.....	5
დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები.....	5
საგადასახადო კანონმდებლობა.....	6
რეკომენდაციები.....	8
აუდიტის მიზანი და მასშტაბი.....	9
აუდიტის ანგარიშის დანიშნულება	10
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	10
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	10
აუდიტის ანგარიშის ფორმა	10
საქმიანობის მოკლე მიმოხილვა.....	11
ფინანსური ანგარიშგება	12
გაწეული სამედიცინო მომსახურება	13
ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების მიღება, აღრიცხვა და გამოყენება.....	15
დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები.....	20
საგადასახადო კანონმდებლობა.....	23
სახელმწიფო შესყიდვები.....	26
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	29

შემოკლებანი:

1. შპს „რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“- საავადმყოფო;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო-დამფუძნებელი.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ქვემოთ მოკლედ წარმოდგენილია აუდიტის ძირითადი შედეგები:

ფინანსური ანგარიშგება

➤ ურთიერთშეუსაბამოა შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ 2012 და 2013 წლების საბალანსო ანგარიშების ნაშთები. კერძოდ, 2012 წლის საბალანსო მონაცემებში, საანგარიშო პერიოდის ბოლოს რიცხული ნაშთები არ შეესაბამება 2013 წლის ბალანსში წლის დასაწყისისათვის დაფიქსირებულ ნაშთებს.

გაწეული სამედიცინო მომსახურება

➤ ადგილი აქვს პაციენტებისა და მომსახურების დამკვეთ იურიდიულ პირებზე სამედიცინო მომსახურების ღირებულებაზე მეტი ოდენობით თანხების მოთხოვნის ფაქტებს. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში სამედიცინო ბარათების მონაცემები არ დასტურდება პაციენტების ხემოწერებით;

➤ საბუღალტრო ჩანაწერების შესაბამისად, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საავადმყოფოს ფიზიკური პირების მიმართ ერიცხება 470 790 ლარი დებიტორული დავალიანება. პაციენტების მხრიდან გადახდილი თანხების შესახებ წარმოდგენილ საღაროს შემოსავლის ორდერებში, არ არის აღნიშნული სრული ინფორმაცია, გადამხდელისა და გადახდილი თანხების დანიშნულების შესახებ, რის გამოც ვერ დგინდება დებიტორული დავალიანების რეალობა.

ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების მიღება, აღრიცხვა და გამოყენება

- შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“, უსასყიდლო-უზუფრუქტის წესით, დროებით სარგებლობაში გადაცემული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის N2-ში მდებარე 21247 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განლაგებული 8439,55 კვ.მ შენობა-ნაგებობა და ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქ N2-ში მდებარე 316,5 კვ.მ შენობა-ნაგებობა და 909 ერთეული მოძრავი ძირითადი საშუალება არ არის აღრიცხული საავადმყოფოს ბალანსზე;
- საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებში არ არის აღრიცხული 1500 ლარის უსასყიდლოდ მიღებული მედიკამენტებისა და სხვა სამედიცინო საშუალებების ხარჯვა;
- კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსაბამოდ, მატერიალური მარაგების სახით ირიცხება 26 766 ლარის ღირებულების „ბარო კამერა“ და 25194 ლარის ღირებულების 8 დასახელების 14 ერთეული სამედიცინო აპარატურა, რომელიც თავისი ფუნქციური დანიშნულებისა და ფასის გათვალისწინებით წარმოადგენენ ძირითად საშუალებებს;
- ძირითადი საშუალებების იჯარით გაცემისას, სააუქციონო განაცხადით გათვალისწინებული თანხა არ არის დამატებული სარგებლობაში გადასაცემი ქონების საწყის ღირებულებაზე, რითაც საავადმყოფოს წლიური შემოსავლები შემცირებულია 100 აშშ დოლარით;
- საავადმყოფოს მიერ მოიჯარეებზე განშტოებით მიწოდებული ელექტროენერგიის აღრიცხვა, არ იძლევა რეალურ სურათს მოხმარებულ ელექტროენერგიასთან დაკავშირებით, რაც უარყოფითად აისახება საავადმყოფოს ფინანსურ შედეგებზე.

დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები

- შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“ საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემების შესაბამისად, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 8 954 386 ლარის დებიტორული და 2 556 547 ლარის კრედიტორული დავალიანება. ამასთან, 322 843 ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც წარმოშობილია 2005-2006 წლებში, საბუღალტრო მონაცემებით არ იშიფრება და შესაბამისად ვერ დგინდა მისი წარმოშობისა და აღრიცხვის რეალობა;

➤ შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“ მიერ 2010-2013 წლებში, არასწორად წარმოებული სამედიცინო და საფინანსო საქმიანობის შედეგად, სამედიცინო მომსახურების დამკვეთებზე რიცხული მოთხოვნები 868 557 ლარით შემცირდა.

საგადასახადო კანონმდებლობა

➤ შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“ მიერ 2013 წელს ქონების გადასახადით არ არის დაბეგრილი, ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ძირითადი საშუალებები და მიწა;

➤ შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან (საწყობი, აფთიაქი, დეპარტამენტები) მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, საავადმყოფოს 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხება 396 119 ლარის, ხოლო 31 დეკემბრის მდგომარეობით 324 773 ლარის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რაც შესაბამისად 75 220 ლარით და 48 730 ლარით ნაკლებია 2013 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციაში დაფიქსირებულ თანხაზე. აღნიშნული შეუსაბამობა 26 490 ლარით ამცირებს მოგების გადასახადით დასაბეგრ შემოსავალს;

➤ შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან (საწყობი, აფთიაქი, დეპარტამენტები) მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, 2013 წელს საავადმყოფოს მიღებული აქვს სულ 1 856 035 ლარის მატერიალური ფასეულობები, რაც 38 302 ლარით ნაკლებია 2013 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციაში დაფიქსირებულ, საანგარიშო პერიოდში მიღებულ მატერიალურ ფასეულობათა ღირებულებაზე. აღნიშნული შეუსაბამობა 38 302 ლარით ამცირებს მოგების გადასახდით დასაბეგრ შემოსავალს;

➤ საავადმყოფოს შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმებით გაირკვა, რომ 2013 წელს 393 347 ლარის მატერიალური ფასეულობები მიღებულია კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის (სასაქონლო ზედნადები ან/და ანგარიშფაქტურა) გარეშე;

➤ 2013 წლის გამოქვითვების ანალიზით დადგენილია, რომ ხარჯებზე არასწორადაა მიკუთვნებული, სადაზღვევო კომპანიების მიერ დაკორექტირებულ 40

932 ლარი. შესაბამისად, აღნიშნული თანხით შემცირებულია მოგების გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი.

სახელმწიფო შესყიდვები:

➤ გამარტივებული შესყიდვის ფორმით გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის მითითებული ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი, რის გამოც შეუსრულებელია საქართველოს შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები;

➤ „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ – „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭების შემდეგ, საავადმყოფოს მიერ განხორციელებული შესყიდვებიდან, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, გამარტივებული შესყიდვის ფორმით გაფორმებულ ხელშეკრულებებში, არ არის გათვალისწინებული ვალდებულება შესასყიდი საქონლის ხარისხობრივი მახასიათებლების დადასტურების შესახებ, მაშინ როცა ელექტრონული ტენდერის შესაბამის სატენდერო დოკუმენტაციაში მისაწოდებელ საქონელთან მიმართებით განსაზღვრულია ვარგისიანობის ვადისა და სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენებული სერტიფიკატის წარმოდგენის ვალდებულება;

➤ 2013 წელს 2 შემთხვევაში 160 000 ლარის სამედიცინო მომსახურების შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მონეტარული ზღვრების გაუთვალისწინებლად, განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის ფორმით;

➤ მედიკამენტებისა და სხვა სამედიცინო საშუალებების მიწოდების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტებით, ვერ დადგინდა აღნიშნული ხელშეკრულებების შესრულების მდგომარეობა. კერძოდ, სასაქონლო ზედნადებებში არ არის აღნიშნული იმ ხელშეკრულების ნომერი, რომლის ფარგლებშიც იქნა მიწოდებული საქონელი და ამასთან რიგი მიღება-ჩაბარების აქტები არ არის ხელმოწერილი საქონლის მიმღების

მიერ. შესაბამისად, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო სათანადო რწმუნება მედიკამენტებისა და სხვა სამედიცინო საშუალებების მიწოდების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების კანონიერებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები

- ბუღალტერული აღრიცხვა უნდა წარმოებდეს ორმაგი ჩაწერის ხერხით, ბუღალტერული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის შესაბამისად, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ბუღალტერული ანგარიშგების ბრუნვების, ნაშთების, სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის მონაცემების ურთიერთშესაბამისობა;
- პირველადი სამედიცინო და საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება განხორციელდეს მოქმედი ნორმატიული აქტების სრული დაცვით. ამასთან, დაინერგოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც შესაბამისი უფლებამოსილი პირების ავტორიზაციით უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების, მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად განხორციელებას;
- უსასყიდლო უზურფრუქტის ხელშეკრულებით მიღებული ძირითადი აქტივები, აღირცხოს საავადმყოფოს ბალანსზე, შესაბამისი პერიოდის გათვალისწინებით მისი ღირებულება აისახოს ერთობლივ შემოსავალში, ხოლო აქტივების ცვეთის თანხა-გამოქვითვებში;
- განხორციელდეს საბუღალტრო მონაცემების კორექტირება და დაინერგოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც შესაბამისი უფლებამოსილი პირების ავტორიზაციით უზრუნველყოფს მატერიალური მარაგების მიღებისა და ხარჯვის სრულად აღრიცხვას. ამასთან, ძირითად აქტივებში აღირცხოს მატერიალური მარაგების სახით ნაშთად რიცხული 26 766 ლარის ღირებულების „ბარო კამერა“ და 25 194 ლარის ღირებულების 14 ერთეული სამედიცინო აპარატურა;
- საავადმყოფოს კაპიტალში შემავალი ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების სარგებლობაში გადაცემა განხორციელდეს აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის N40 ბრძანებით დამტკიცებული „აჭარის ა/რ 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების კაპიტალში ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესისა“ და აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2010 წლის 21

დეკემბრის N182 ბრძანებით დამტკიცებული „აჭარის ა/რ ქონების საჯარო აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ“ დებულების მოთხოვნების სრული დაცვით. ამასთან, უზრუნველყოფილი იქნეს მოიჯარეების მიერ ელექტროენერგიის კანონიერი მოხმარება;

➤ განხორციელდეს 2013 წლის ქონებისა და მოგების გადასახადების დეკლარაციების კორექტირება და დაწესდეს კონტროლი საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესრულების მიმდინარეობაზე;

➤ შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად უნდა განხორციელდეს. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობები უნდა უზრუნველყოფდეს შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიან და არადისკრიმინაციულ მიდგომას, რაც ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ერთ-ერთი პირობაა. ამასთან, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმდეს მონეტარული ზღვრების დაცვით.

აუდიტის მიზანი და მასშტაბი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტის ჯგუფმა წარმოადგინოს ანგარიში ორგანიზაციის მიერ მის საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციები რამდენად შესაბამისობაშია შესაფერის კრიტერიუმებთან. აუდიტის ჯგუფმა საავადმყოფოს საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრა მოცემული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ხელშეკრულებების და მოცემულ დარგში მოქმედი სტანდარტების საფუძველზე, ასევე სხვა რელევანტური ინფორმაციის გათვალისწინებით.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბს წარმოადგენს საავადმყოფოს 2013 წლის შემდეგი ძირითადი საქმიანობები:

1. ფინანსური ანგარიშგება;
2. გაწეული სამედიცინო მომსახურება;
3. ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების მიღება, აღრიცხვა და გამოყენება;
4. დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები;
5. საგადასახადო კანონმდებლობა;

6. სახელმწიფო შესყიდვები.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამოების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

საავადმყოფოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2013 წელს განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობაზე არსებულ კრიტერიუმებთან. საავადმყოფოს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებული იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ საავადმყოფოს 2013 წლის საქმიანობა არ შეიცავს კრიტერიუმებთან არსებითი შეუსაბამოების ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით -

„ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას და რეკომენდაციების გაცემას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

საავადმყოფო წარმოადგენს სამედიცინო პროფილის ლიცენზირებულ საწარმოს, რომლის ძირითადი საქმიანობის საგანია, მიღებული ლიცენზიის ფარგლებში, მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა, სამკურნალო, ფუნქციონალური დიაგნოსტიკის, კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევებისა და სამედიცინო პროფილაქტიკური ღონისძიებების კუთხით. საავადმყოფოს საწესდებო კაპიტალი 583888 ლარს შეადგენს.

საავადმყოფოს 2013 წლის შემოსავლები და ხარჯები:

დასახელება	თანხა (ლარი)
შემოსავალი შიდა სტანდარტებით	1 818 148
შემოსავალი სახელმწიფო პროგრამული დაფინანსებით	2 501 914
შემოსავალი სადაზღვევო კომპანიების დაფინანსებით	2 311 086
შემოსავალი იჯარიდან	58 316
არასაოპერაციო შემოსავალი	666 376
სულ შემოსავალი	7 355 840
დარიცხული ხელფასი	4 290 222
იჯარის ხარჯი	32 720
კომუნალური, საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი	2 549 667
არასაოპერაციო ხარჯი	133 067
სულ ხარჯი	7 005 676
მიმდინარე პერიოდის მოგება	350 164

ფინანსური ანგარიშგება

შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“, დამფუძნელის მიერ შემუშავებული წესებისა და ფორმების დაცვით, საფინანსო წლის დასრულებიდან 3 თვის ვადაში ადგენს შესაბამისი წლის ფინანსურ ანგარიშგებას და დასამტკიცებლად წარუდგენს დამფუძნებელს - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს.

კრიტერიუმი

საწარმო სამეურნეო ოპერაციის ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ორმაგი ჩაწერის ხერხით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის შესაბამისად, უზრუნველყოფს ბუღალტრული ანგარიშგების ბრუნვებისა და ნაშთების ყოველთვიურად გამოყვანას და სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის მონაცემების შესაბამისობას, შემოსავლებისა და ხარჯების საანგარიშო პერიოდისათვის მიკუთვნების სისწორეს¹.

გამოვლენილი გარემოება

ურთიერთშეუსაბამოა შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ 2012 და 2013 წლების საბალანსო ანგარიშების ნაშთები. კერძოდ, 2012 წლის საბალანსო მონაცემებში, საანგარიშო პერიოდის ბოლოს რიცხული ნაშთები არ შეესაბამება 2013 წლის ბალანსში წლის დასაწყისისათვის დაფიქსირებულ ნაშთებს. ცალკეული საბალანსო ანგარიშების მიხედვით შეუსაბამოებები შემდეგი სახისაა:

¹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ მე-6 მუხლი.

საბალანსო ანგარიშები	კოდები	2012 წელი	2013 წელი	სხვაობა
		საანგარიშო პერიოდის ბოლოს	საანგარიშო პერიოდის დასწყისში	
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან.	1410	3554633	6520983	2966352
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1430	14392	15099	707
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1490	63928	1698131	1634206
ნედლეული და მასალები	1620	463925	471340	7415
წინასწარი ხარჯები	1700	0	299	299
გრძელვადიანი აქტივები	2100	52576	11684	40892
მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	3110	727436	604463	-122973
მიღებული ავანსები	3120	68177	36	-68141
გადასახდელი ხელფასი	3130	290352	292727	2375
მოკლევადიანი ვალდებულებები	3190	75845	93965	18120
გადასახდელი მოგების გადასახადი	3310	294388	265987	28401
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3320	1043052	1051604	8552

რეკომენდაცია

ბუღალტრულ აღრიცხვა უნდა წარმოებდეს ორმაგი ჩაწერის ხერხით, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის შესაბამისად, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ბუღალტრული ანგარიშგების ბრუნვების, ნაშთების, სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის მონაცემების ურთიერშესაბამისობა.

გაწეული სამედიცინო მომსახურება

აუდიტის პერიოდში შერჩევითი წესით გადამოწმდა შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ მიერ 2013 წლის მაისის თვეში სტაციონალური პაციენტების სამედიცინო ბარათების ფინანსური აღრიცხვის მონაცემები. წარმოდგენილი სტაციონალური სამედიცინო ბარათების შესაბამისად, 2013 წლის მაისის თვეში, საავადმყოფოს მიერ გაწეული იქნა სულ 392 664 ლარის ღირებულების სამედიცინო მომსახურება. გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად ანაზღაურებას დამკვეთების მხრიდან დაეკვემდებარა 303 598 ლარი, ხოლო პაციენტების მხრიდან - 89006 ლარი.

კრიტერიუმი:

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის, აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების, საავადმყოფოს შიდა სტანდარტებისა და სადაზღვევო კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება, გაწეული მომსახურების სრული საფასური და მომსახურების მხარეების მხრიდან გადასახდელი თანხების ოდენობა. ამასთან, აღნიშნული ოპერაციების ამსახველი დოკუმენტაცია საფინანსო აღრიცხვის პირველად დოკუმენტაციას განეკუთვნება და მისი წარმოება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ მოთხოვნების შესაბამისად უნდა წარმოებდეს.

გამოვლენილი გარემოება:

2013 წლის მაისის თვეში სტაციონალური პაციენტების სამედიცინო ბარათების ფინანსური აღრიცხვის მონაცემების შემოწმებით დადგენილია, რომ 3 შემთხვევაში პაციენტების მიერ გადახდილია სამედიცინო მომსახურების ღირებულების ანგარიშით გათვალისწინებულ თანხაზე 73 ლარით მეტი თანხა, ამასთან აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში სამედიცინო ბარათების მონაცემები არ დასტურდება პაციენტის ხემოწერებით

N	პაციენტის სახელი და გვარი	სამედიცინო ბარათის ნომერი	ანგარიშით გათვალისწინებული გადასახდელი თანხა	გადახდილი თანხა	სხვაობა
1	თხილაიშვილი გულნარა	1966	430	450	20
2	დიდმანიძე მირზა	2317	584	600	16
3	ჯაიანი მერაბი	2348	563	600	37
	ჯამი				73

➤ სტაციონალური პაციენტის სამედიცინო ბარათი N2063 შედგენილია კახიძე სერგოს მკურნალობასთან დაკავშირებით, რომლის სამედიცინო მომსახურების ღირებულების ანგარიშის შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ასანაზღაურებლად განესაზღვრა 5659 ლარი, მაშინ როცა მოთხოვნილია 5899 ლარი ანუ 240 ლარით მეტი;

➤ საბუღალტრო ჩანაწერების შესაბამისად, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საავადმყოფოს ფიზიკური პირების მიმართ ერიცხება 470 790 ლარი დებიტორული დავალიანება. პაციენტების მხრიდან გადახდილი თანხების შესახებ წარმოდგენილ სალაროს შემოსავლის ორდერებში, არ არის აღნიშნული სრული ინფორმაცია გადამხდელისა და გადახდილი თანხების დანიშნულების შესახებ, რის გამოც ვერ დგინდება დებიტორული დავალიანების რეალობა.

რეკომენდაცია

პირველადი სამედიცინო და საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება განხორციელდეს მოქმედი ნორმატიული აქტების სრული დაცვით. ამასთან, დაინერგოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც შესაბამისი უფლებამოსილი პირების ავტორიზაციით უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების, მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად განხორციელებას.

ძირითადი აქტივებისა და მატერიალური მარაგების მიღება, აღრიცხვა და გამოყენება

ძირითადი აქტივები

კრიტერიუმი:

უზუფრუქტის ხელშეკრულებით, საწარმოს ფაქტიურ მფლობელობაში გადაცემული ძირითადი აქტივები უნდა აღირიცხოს საწარმოს ბალანსზე, დაერიცხოს ცვეთა და უსასყიდლოდ მიღებული ქონების ღირებულებით გაიზარდოს შესაბამისი პერიოდის ერთობლივი შემოსავალი.

გამოვლენილი გარემოება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად, შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფო“, უსასყიდლო-უზუფრუქტის წესით, დროებით სარგებლობაში გადაეცა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის N2-ში მდებარე 21247 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განლაგებული

8439,55 კვ.მ შენობა-ნაგებობა და ქ. ბათუმში, ტბელ აზუსერიძის ქ N2-ში მდებარე 316,5 კვ.მ შენობა-ნაგებობა და 909 ერთეული მოძრავი ძირითადი საშუალება².

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლის შესაბამისად, უზუფრუქტი არის აქტივის სხვა პირის სარგებლობაში ისე გადაცემა, რომ იგი უფლებამოსილია ეს აქტივი გამოიყენოს როგორც მესაკუთრემ და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ მისი სარგებლობა, ამავე დროს, სამოქალაქო კოდექსის 243-ე მუხლის მიხედვით „უზუფრუქტის დადგენის დროს გამოიყენება იგივე წესები, რაც აქტივების შეძენის დროს“. აღნიშნულიდან გამომდინარე, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ ბასს-ების მიხედვით „საწარმოში აქტივების არსებობის განსაზღვრისას საკუთრების უფლება არ არის მთავარი“ (ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები), საავადმყოფოს უზუფრუქტით მიღებული ქონება უნდა აესახა თავის ბალანსზე, ჩაერთო დასაბეგრ შემოსავალში უსასყიდლოდ ქონების მიღებისგან წარმოშობილი სარგებელი, დაერიცხა მასზე ცვეთა და აღნიშნული ქონების არასამედიცინო საქმიანობაში გამოყენების შემთხვევაში გადაეხადა ქონების გადასახადი.

რეკომენდაცია

უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით მიღებული ძირითადი აქტივები, აღირიცხოს საავადმყოფოს ბალანსზე, შესაბამისი პერიოდის გათვალისწინებით მისი ღირებულება აისახოს ერთობლივ შემოსავალში, ხოლო აქტივების ცვეთის თანხა-გამოქვითვებში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად შესყიდული საქონელი, მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად აღირიცხება საავადმყოფოს ავთიაქსა და საწყობში, საიდანაც მოთხოვნისამებრ გადაეცემა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს. სტრუქტურული ერთეულებიდან ყოველთვიურად წარმოდგენილი ხარჯვის დოკუმენტაციის შესაბამისად ხდება გახარჯული მარაგების ღირებულების ხარჯად აღიარება.

კრიტერიუმი:

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შესყიდული ან უსასყიდლოდ მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

² აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება N63. 27.03.2012

სრულად აღირიცხება 1600 საბალანსო ანგარიშზე, ხოლო ძირითადი აქტივები კი - 2100 საბალანსო ანგარიშზე. ამასთან, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ხარჯვა, გახარჯული საქონლისა თუ მატერიალური ფასეულობების ღირებულებებით აღიარდება ხარჯად, ხოლო ძირითადი აქტივების ღირებულების გამოქვითვა, მათზე დარიცხული ცვეთის თანხების პროპორციულად წარმოებს³.

გამოვლენილი გარემოება:

შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“ ავთიაქში მედიკამენტებისა და სხვა სამედიცინო საშუალებების აღრიცხვის მონაცემების შესაბამისად, 2013 წელს საავადმყოფოს მიერ შესყიდულია 1 768 039 ლარის ღირებულების და სტრუქტურული ერთეულების მოთხოვნების შესაბამისად მათზე გაცემულია 1 797 262 ლარის ღირებულების მედიკამენტები და სხვა სამედიცინო საშუალებები. 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 126 193 ლარის ღირებულების სასაქონლო ნაშთის გათვალისწინებით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საავადმყოფოს ნაშთად ირიცხება 96 969 ლარის ღირებულების მედიკამენტები და სხვა სამედიცინო საშუალებები.

დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი მედიკამენტებისა და სხვა სამედიცინო საშუალებების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისად, 2013 წელს მათ მიერ მიღებულია 1 798 762 ლარის ღირებულების საქონელი, რაც 1500 ლარით მეტია, ავთიაქის მიერ დეპარტამენტებზე გაცემულად დაფიქსირებულ საქონლის ღირებულებაზე. აღნიშნული სხვაობა გამოწვეულია ავთიაქსა და საბუღალტრო მონაცემებში უსასყიდლოდ მიღებული მედიკამენტებისა და სხვა სამედიცინო საშუალებების აღრიცხვაობით.

შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“ ავთიაქს მატერიალური მარაგების სახით ნაშთად ერიცხება 26 766 ლარის ღირებულების „ბარო კამერა“, ხოლო დეპარტამენტებს კი 25194 ლარის ღირებულების 8 დასახელების 14 ერთეული სამედიცინო აპარატურა, რომლებიც თავისი ფუნქციური დანიშნულებისა და ფასის გათვალისწინებით წარმოადგენენ ძირითად საშუალებას. მოცემულ შემთხვევაში შეუსრულებელია კანონმდებლობის მოთხოვნა⁴ რომლის მიხედვითაც ძირითად საშუალებად აღიარებას ექვემდებარება ერთ წელზე მეტი ვადისა და 150 ლარზე მეტი ღირებულების, არაერთჯერადი გამოყენების შრომის საშუალებები.

³ ბუღალტრული აღრიცხვის საედრთაშორისო სტანდარტები

⁴ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ 42-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტი.

რეკომენდაცია

განხორციელდეს საბუღალტრო მონაცემების კორექტირება და დაინერგოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც შესაბამისი უფლებამოსილი პირების ავტორიზაციით უზრუნველყოფს მატერიალური მარაგების მიღებისა და ხარჯვის სრულად აღრიცხვას. ამასთან, ძირითად აქტივებში აღირიცხოს მატერიალური მარაგების სახით ნაშთად რიცხული 26 766 ლარის ღირებულების „ბარო კამერა“ და 25194 ლარის ღირებულების 14 ერთეული სამედიცინო აპარატურა.

ძირითადი აქტივების სარგებლობაში გადაცემა

კრიტერიუმი:

საავადმყოფოს ძირითადი საშუალებების იჯარით გაცემა ხორციელდება საჯარო ელექტრონული აუქციონის ფორმით. აუქციონზე გატანილი ძირითადი საშუალების საწყისი ღირებულება უნდა დადგინდეს დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი დასკვნის საფუძველზე. ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს გაზეთში „24 საათი“ და ის სხვა საკითხებთან ერთად უნდა შეიცავდეს ინფორმაციას: აუქციონის დაწყებისა და დასრულების, სარგებლობაში გადასაცემი ქონების საწყისი საფასურისა და ბიჯის სიდიდის შესახებ. საჯარო აუქციონში მონაწილე, რომელსაც სურს საწყისი საფასურიდან დაიწყოს ვაჭრობა, სწევს თავის დაფას, რაც ნიშნავს საწყის საფასურზე ბიჯის დამატებას. სააუქციონო ვაჭრობის შედეგების გათვალისწინებით, გამარჯვებულ პრეტენდენტთან იდება ხელშეკრულება, რომლის პირობების შესრულებაზე, საწარმოს ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის თავლსაზრისით, უნდა შემუშავდეს და ამოქმედდეს კონტროლის შესაბამისი მექანიზმები⁵.

გამოვლენილი გარემოება:

წარმოდგენილი საბუღალტრო ჩანაწერების შესაბამისად, 2013 წელს მოქმედებდა 16 საიჯარო ხელშეკრულება, რომელთა პირობების გათვალისწინებით

⁵ აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის N40 ბრძანებით დამტკიცებული „აჭარის ა.რ. 50% მეტის წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების კაპიტალში ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-7 მუხლის მე-8 პუნქტი და აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2010 წლის 21 დეკემბრის N182 ბრძანებით დამტკიცებული „აჭარის ა.რ. ქონების საჯარო აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ“ დებულების მე-5 და მე-6 მუხლი.

საიჯარო გადასახადის სახით მისაღებმა შემოსავლებმა 59 789 ლარი შეადგინა. სააუდიტო პერიოდში, საიჯარო გადასახადის სახით მიღებულია 49 842 ლარი და წლის დასაწყისისათვის 48 349 ლარის დებიტორული დავალიანების გათვალისწინებით, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საავადმყოფოს საიჯარო გადასახადის სახით ერიცხება 58296 ლარის დებიტორული დავალიანება.

2013 წელს, საჯარო აუქციონის ფორმით გაფორმებულია 8 საიჯარო ხელშეკრულება. წარმოდგენილი აუქციონის მასალების შესაბამისად ირკვევა:

➤ 2013 წლის 7 ივნისს ჩატარდა აუქციონი შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ ბალანსზე რიცხული 97,92 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის სარგებლობაში გაცემის შესახებ. ობიექტის საწყისი საიჯარო ფასი 4672 აშშ დოლარით, ხოლო ბიჯი 100 აშშ დოლარით განისაზღვრა. სააუქციონო ვაჭრობის ოქმის შესაბამისად, ობიექტის სარგებლობაში გადაცემის საბოლოო საფასურმა 4772 აშშ დოლარი შეადგინა, თუმცა 2013 წლის 7 ივნისს, გურამ დავითაძესთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, საიჯარო ქირა 4672 აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 100 აშშ დოლარით ნაკლებია სააუქციონო ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებულ ფასზე;

➤ აუდიტის პერიოდში, მოიჯარეების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა წარმოებდა, მეიჯარისა და მოიჯარის წარმომადგენლების მიერ შედგენილი, მრიცხველების ჩვენებების დაფიქსირების აქტების მონაცემების გათვალისწინებით. აღნიშნული მონაცემების შესაბამისად, 2013 წელს მოიჯარეების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის სახით დარიცხულია 3146 ლარი, ანუ საშუალოდ ერთ მოიჯარეზე წლიურად 197 ლარი. აღსანიშნავია, რომ მრიცხველები დამონტაჟებულია საავადმყოფოს მიერ და მოიჯარეები არ არიან ცალკე დამოუკიდებელ აბონენტებად რეგისტრირებულნი და არ მომხდარა ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიანტის⁶ მიერ მრიცხველის შემოწმება⁷. შესაბამისად, არ არის უზრუნველყოფილი საავადმყოფოს მიერ მოიჯარეებზე განმტოებით მიწოდებული ელექტროენერგიის კანონიერი მოხმარება, რაც უარყოფითად აისახება საავადმყოფოს ფინანსურ შედეგებზე.

რეკომენდაცია

საავადმყოფოს კაპიტალში შემავალი ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების სარგებლობაში გადაცემა განხორციელდეს აჭარის ავტონომიური

⁶ შპს „ენერგო-პრო ჯორჯია“

⁷ შეუსრულებელია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის N20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-15 მუხლის მე-6 პუნქტი

რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 7 მარტის N40 ბრძანებით დამტკიცებული „აჭარის ა/რ 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების კაპიტალში ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესისა“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2010 წლის 21 დეკემბრის N182 ბრძანებით დამტკიცებული „აჭარის ა/რ ქონების საჯარო აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ“ დებულების მოთხოვნების სრული დაცვით. ამასთან, უზრუნველყოფილი იქნეს მოიჯარეების მიერ ელექტროენერგიის კანონიერი მოხმარება.

დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები

კრიტერიუმი:

საბუღალტრო აღრიცხვის რეგისტრებში ჩანაწერის შეტანის საფუძველი უნდა იყოს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც აღნუსხავს სამეურნეო ოპერაციის მოხდენის ფაქტს და შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც საჭიროა ოპერაციაში მონაწილე მხარეების, ოპერაციის შინაარსის, განზომილებისა და ღირებულების იდენტიფიკაციისათვის⁸. ამასთან, სამედიცინო მომსახურების გაწევის წესები და ნორმები უნდა შეესაბამებოდეს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის⁹, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2013 წლის მიზნობრივი პროგრამების¹⁰, სადაზღვევო კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და საავადმყოფოს შიდა სტანდარტებით¹¹ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

⁸ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ მე-7 მუხლის პირველი და მეორე პუნქტი.

⁹ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილება „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“

¹⁰ აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2013 წლის 3 იანვრის NN12/1, 12/2, 12/3, 12/4 ბრძანებები, მიზნობრივი პროგრამები: „დამატებითი სამედიცინო მომსახურების კომპონენტის“, „გეგმიური ჰოსპიტალური მომსახურების კომპონენტის“, „მოსახლეობისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარების კომპონენტის“ და „ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობის კომპონენტის“ დამტკიცების შესახებ.

¹¹ შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური-კლინიკური საავადმყოფოს“ 2012 წლის 10 იანვრის N01-13/04 ბრძანება „სავადმყოფოს შიდა სტანდარტების დამტკიცების შესახებ“.

გამოვლენილი გარემოება:

საბუღალტრო მონაცემების შესაბამისად, შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“ 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთად ერიცხება 8 234 215 ლარის დებიტორული და 2 310 039 ლარის კრედიტორული დავალიანება. 2013 წელს განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის შედეგად, დებიტორული დავალიანება გაიზარდა 720 171 ლარით და 8 954 386 ლარი შეადგინა, ხოლო კრედიტორული დავალიანება - 246 508 ლარით და 2 556 547 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 322843 ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც წარმოშობილია 2005-2006 წლებში, საბუღალტრო მონაცემებით არ იშიფრება და შესაბამისად ვერ დგინდა მისი წარმოშობისა და აღრიცხვის რეალობა.

სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგსა“ და შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“ შორის 2013 წლის 20 დეკემბერს, გაფორმდა ინსპექტირების აქტი, რომელმაც მოიცვა 2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 30 ივნისამდე პერიოდი.

შემოწმების შედეგების გათვალისწინებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“ მიერ, სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგისა“ და სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია იმედი-ელ ინტერნეიშენალისგან“ არასწორად მოთხოვნილია სულ 617 783 ლარი, რომელიც გაქვითული უნდა ყოფილიყო საავადმყოფოსთან შემდგომში განსახორციელებელი ანგარიშსწორებისას, ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში თანხა დაექვემდებარებოდა საავადმყოფოს მიერ სადაზღვევო კომპანიისათვის დაბრუნებას. მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმებიდან გამომდინარე, 2014 წელს აღნიშნული თანხა ჩამოწერილი იქნა სადაზღვევო კომპანიებზე რიცხული დებიტორული დავალიანებიდან და საწარმოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით გადაეწერა ბრალეულ პირებს, თუმცა აუდიტის პერიოდში, აღნიშნული თანხიდან საავადმყოფოს სასარგებლოდ თანხების ანაზღაურება არ მომხდარა.

აღნიშნულის შესახებ წარმოდგენილი მასალების შესაბამისად, დაფიქსირებულია 1075 ფაქტი არასწორად გაწეული სამედიცინო მომსახურების შესახებ. ინსპექტირების აქტში მოყვანილი შემთხვევები შემდეგნაირად ჯგუფდება: 2010 წელს გაწეული მომსახურების შესახებ წარდგენილი მასალებიდან კორექტირებული იქნა 6 შემთხვევაში 4329 ლარი, 2011 წლის მომსახურებიდან 23 შემთხვევაში - 8734 ლარი, 2012 წლის მომსახურებიდან 666 შემთხვევაში - 417 938 ლარი და 2013 წლის მომსახურებიდან 380 შემთხვევაში - 186 782 ლარი. კორექტირების საფუძვლების შესაბამისად თანხა შემდეგნაირად ჯგუფდება:

N	შემთხვევები	შემთხვევათა რაოდენობა	თანხა
1	არ ჩატარებულა ოპერაციული მასალის პათომორფოლოგიური კვლევა	32	42500.72
2	არაა გაკეთებული გულის მარკერები	126	40920.87
3	არაა ცნობა საპატრულოდან	5	5043
4	არაა წარმოდგენილი პოლისი	1	1654.65
5	არავალიდური პოლისით მომსახურება	5	1719.1
6	არასერტიფიცირებული საქმიანობა	18	17154.16
7	არასწორი მართვა	141	183860.25
8	გეგმიური მომსახურება საგარანტიოს გარეშე	3	2960
9	დაკორექტირდა დარჩენილი ლიმიტის გათვალისწინებით	1	378
10	დაზღვეულს აღნიშნული დიაგნოზით მკურნალობა არ ეფარება	7	5531.03
11	დაკორექტირდა არასწორი თანაგადახდის საფუძველზე	10	980.452
12	დაკორექტირდა გაცემული საგარანტიოს საფუძველზე (ხელშეკრულების ტარიფის შესაბამისად)	122	35250.27
13	დაკორექტირდა ტარიფის შესაბამისად	92	25357.15
14	დაკორექტირდა ფაქტიური ხარჯის შესაბამისად, როგორც ამბულატორიული მომსახურეობა	1	848.06
15	დაკორექტირდა ფაქტიური ხარჯის შესაბამისად	2	313.31
16	დაკორექტირდეს ტარიფით; ინტენსიური არ დასტურდება	1	1063.42
17	დარღვეულია შეტყობინების ვალდებულება	3	881.4
18	დიაგნოზი არ დასტურდება	82	61366.5
19	ექსტრადიური პლევრის დიაგნოზი არ დასტურდება	1	356.58
20	თვითდაზავება , თვითმკურნალობა-218 დადგენილებით არ ნაზღაურდება	3	1609.78
21	კორექტირდება 400 ლარი, რელაპარატომიის ფასი	1	400
22	კორექტირდება დაზღვეულის მიერ გადახდილი 200 ლარი	1	200
23	მომსახურება არ ჩატარებია	1	2094.83
24	მომსახურება გაწეულია ვადაგასული საგარანტიოთი	3	2165
25	რეჰოსპიტალიზაცია	40	21629.27
26	სახელმწიფო პროგრამით ასანაზღაურებელი შემთხვევა	3	1491.23
27	სახელშეკრულებო ტარიფის მიხედვით	1	270.04
28	სერვისის ცვლილება თანხმობის გარეშე	1	1565
29	ტარიფი ინტენსიურის გარეშე	1	1081
30	ურგენტული ჰოსპიტალიზაციის ჩვენება არ დასტურდება	355	151947.16
31	ფინანსდება მხოლოდ ლაპარასკოპიული ქოლესისტექტომია	1	831.44
32	რეამინაციის სხვადასხვა	10	4301.37
33	ხელშ. პირობების გათვალისწინებით შექრიანი დიაბეტის მკ-ბა არ ფინანსდება	1	58.25
ჯამი		1075	617783.292

წარმოდგენილი მასალების ანლიზიდან გამომდინარე, შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში“ სისტემატიურად ხდებოდა დადგენილი

წესების გვერდის ავლით, როგორც სამედიცინო მომსახურების გაწევა, ასევე აღნიშნული მომსახურების ამსახველი დოკუმენტაციის არასწორი და არასრული წარმოება (აღნიშნული საავადმყოფოს ხელმძღვანელი პირების, მათ შორის სამედიცინო სფეროს ხელმძღვანელი პირების მიერ ინსპექტირების აქტზე ხელმოწერით დასტურდება), რამაც საერთო ჯამში საავადმყოფოს მიერ გაწეული მომსახურებით წარმოშობილი მოთხოვნების 617 783 ლარით შემცირება გამოიწვია.

შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“ ხელმძღვანელობა აღნიშნულ ფაქტს საწარმოში არსებული სისტემური პრობლემებით ხსნის და განმარტავს, რომ სამედიცინო მომსახურების წარმოებისას, სამედიცინო პერსონალის მიერ დაშვებული შეცდომები შეუძლებელს ხდიდა საავადმყოფოს სასარგებლოდ პოზიციების დაცვას, ხოლო სასამართლოს გზით საკითხის გადაწყვეტა მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს მოითხოვდა, რაც საწარმოს იმ პერიოდის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლებელი იყო. ამასთან, სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია იმედი-ელ ინტერნაშინალის“ მიერ 2012 წელს ჩატარებული ინსპექტირების შედეგად, რომელმაც მოიცვა 2010 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 აპრილამდე პერიოდი, არასწორად მოთხოვნილი თანხების მოტივით კორექტირებას დაექვემდებარა 250 151 ლარი. შედეგად შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“ მიერ 2010-2013 წლებში, არასწორად წარმოებული სამედიცინო და საფინანსო საქმიანობის გამო, სამედიცინო მომსახურების დამკვეთებზე რიცხული მოთხოვნები 868 557 ლარით შემცირდა;

რეკომენდაცია

დაინერგოს ისეთი შიდა კონტროლის მექანიზმები, რომელიც შესაბამისი უფლებამოსილი პირების ავტორიზაციით უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების, მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად განხორციელებას, რითაც თავიდან იქნება აცილებული სამედიცინო მომსახურების ღირებულებების დაკორექტირებით გამოწვეული ზარალი.

საგადასახადო კანონმდებლობა

შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფო“ საფინანსო აღრიცხვის მონაცემების შესაბამისად, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების სახით ნაშთად ერიცხება 1 678 297 ლარის კრედიტორული დავალიანება. მათ შორის:

გადასახადი	ნარჩენი	საურავი	სულ
საშემოსავლო გადასახადი	746 375	330 869	1 077 244
მოგების გადასახადი	524 066	75 948	600 014
ქონების გადასახადი	672	367	1 033
ჯამი	1 271 113	407 184	1 678 297

ქონების გადასახადი

კრიტერიუმი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის¹² შესაბამისად, სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება, გარდა მიწისა, რომელიც სამედიცინო დაწესებულებათა საკუთრებაშია ან ასეთ დაწესებულებაზე ლიზინგით არის გაცემული და სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული, სამედიცინო დაწესებულებებზე დამაგრებული მიწის ნაკვეთები გათავისუფლებულია ქონების გადასახადისაგან. შესაბამისად საავადმყოფოს მიერ იჯარით გაცემული ძირითადი აქტივები წარმოადგენენ ქონების გადასახადით დასაბეგრ ბაზას.

გამოვლენილი გარემოება:

2013 წლის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაციის მიხედვით, შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოს“, საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების სახით, ერიცხება 49 686 ლარის ძირითადი აქტივები, რომელიც ამავე დეკლარაციის მიხედვით გათავისუფლებულია ქონების გადასახადისაგან. საფინანსო დოკუმენტაციის შესაბამისად, 2013 წელს მოქმედებდა 16 ხელშეკრულება, რომელთა შესაბამისადაც საავადმყოფოს ძირითადი აქტივები (შენობები, მიწა), იჯარით ფორმით სარგებლობაში გადაცემულია ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებზე. შესაბამისად, აღნიშნული ქონება საავადმყოფოს მიერ სამედიცინო საქმიანობაში არ არის გამოყენებული და მასზე ვერ გავრცელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის „წ“ და „ჭ“ პუნქტებით გათვალისწინებული შეღავათი.

ამრიგად, შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ მიერ 2013 წელს ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული არ არის კანონმდებლობის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადით დასაბეგრ ობიექტს წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული, ბალანსზე რიცხული ძირითადი

¹² საქართველოს საგადასახადო კოდექსის 201-ე მუხლის 1 პუნქტის „ა“, 203 -ე მუხლის „ბ“, და 206-ე მუხლის 1 პუნქტის „წ“ და „ჭ“ ქვეპუნქტები.

საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობები და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, რომლითაც სარგებლობს ან რომელსაც ფლობს იგი.

მოგების გადასახადი

კრიტერიუმი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად¹³, სამედიცინო დაწესებულების სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი თავისუფლდება მოგების გადასახადისაგან, რომლის რეინვესტირება (დაწესებულების რეაბილიტაცია, ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა) ხორციელდება შესაბამისი საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში. ამასთან, მოგების დეკლარაციის წარდგენა ხდება ყოველწლიურად, საფინანსო წლის შედეგების გათვალისწინებით, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად¹⁴.

გამოვლენილი გარემოება:

2013 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემების ანალიზის შედეგად დადგენილია რიგი შეუსაბამოებების ფაქტები. კერძოდ:

➤ შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან (საწყობი, აფთიაქი, დეპარტამენტები) მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, საავადმყოფოს 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხება 396 119 ლარის, ხოლო 31 დეკემბრის მდგომარეობით 324 773 ლარის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, რაც შესაბამისად 75 220 ლარით და 48 730 ლარით ნაკლებია, 2013 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციაში დაფიქსირებულ თანხაზე. აღნიშნული შეუსაბამობა 26 490 ლარით ამცირებს მოგების გადასახადით დასაბეგრ შემოსავალს;

➤ შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებიდან (საწყობი, აფთიაქი, დეპარტამენტები) მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, 2013 წელს საავადმყოფოს მიღებული აქვს სულ 1 856 035 ლარის მატერიალური ფასეულობები, რაც 38 302 ლარით ნაკლებია, 2013 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციაში დაფიქსირებულ, საანგარიშო პერიოდში მიღებულ

¹³ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის 1 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტი.

¹⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის მე-40 და 41-ე მუხლები.

მატერიალურ ფასეულობათა ღირებულებაზე. აღნიშნული შეუსაბამობა 38 302 ლარით ამცირებს მოგების გადასახდით დასაბეგრ შემოსავალს. საავადმყოფოს შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმებით გაირკვა, რომ ელექტრონული სასაქონლო ზედნადებით მიღებულია 1 434 189 ლარის, საგადასახადო ანგარიშფაქტურებით - 28 500 ლარის მატერიალური ფასეულობები და შესაბამისად 2013 წელს 393 347 ლარის მატერიალური ფასეულობები მიღებულია კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის გარეშე¹⁵;

➤ მოგების გადასახადის დეკლარაციის შესაბამისად, 2013 წელს გამოქვითვების ჯამური რაოდენობა 6 911 358 ლარს შეადგენდა. მათ შორის 394 740 ლარი არის სხვადასხვა ხარჯების სახით გამოქვითული თანხა. აღნიშნული ხარჯების ანალიზით დადგენილია, რომ ხარჯებზე არასწორადაა მიკუთვნებული, სადაზღვევო კომპანიების მიერ დაკორექტირებული 40 932 ლარი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევებში 40 932 ლარით შემცირებულია მოგების გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი.

რეკომენდაცია

განხორციელდეს 2013 წლის ქონებისა და მოგების გადასახადების დეკლარაციების კორექტირება და დაწესდეს კონტროლი საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესრულების მიმდინარეობაზე.

სახელმწიფო შესყიდვები

შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური-კლინიკური საავადმყოფო“ მიერ 2013 წელს სულ გაფორმებულია 122 ხელშეკრულება, რომელთა შესაბამისად შესყიდულია 1 678 302 ლარის ღირებულების საქონელი და მომსახურება. გაფორმებული ხელშეკრულებიდან 5 შემთხვევაში ხელშეკრულებები გაფორმდა კონსოლიდირებული ტენდერის, 27 შემთხვევაში - ელექტრონული ტენდერის, 24 შემთხვევაში - გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და 66 შემთხვევაში - გამარტივებული შესყიდვის ფორმით. გამოცხადებული ტენდერებიდან დასრულებულია უარყოფითი შედეგით 5 ტენდერი, ტენდერი არ შედგა 10 და ტენდერი შეწყდა 3 შემთხვევაში.

¹⁵ შეუსრულებელია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N 996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

კრიტიკიუმი:

სახელმწიფო შესყიდვების კანონის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა¹⁶. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საჯარო მოსამსახურემ უნდა დაიცვას ეკონომიურობის და ეფექტიანობის პრინციპი¹⁷.

გამოვლენილი გარემოება:

➤ გამარტივებული შესყიდვის ფორმით გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის მითითებული ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი, რის გამოც შეუსრულებელია საქართველოს შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები;

➤ „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ – „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭების შემდეგ, საავადმყოფოს მიერ განხორციელებული შესყიდვებიდან, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, გამარტივებული შესყიდვის ფორმით გაფორმებულ ხელშეკრულებებში, არ არის გათვალისწინებული ვალდებულება შესასყიდი საქონლის ხარისხობრივი მახასიათებლების დადასტურების შესახებ, მაშინ როცა, ელექტრონული ტენდერის შესაბამის სატენდერო დოკუმენტაციაში მისაწოდებელ საქონელთან მიმართებით განსაზღვრულია ვარგისიანობის ვადისა და სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენებული სერტიფიკატის წარმოდგენის ვალდებულება¹⁸;

N	შესასყიდი საქონლის დასახელება	სატენდერო განცხადების ნომერი	ტენდერის სტატუსი	ხელშ. N და თარიღი	მომწოდებელი	თანხა (ლარი)
1	სამედიცინო მოწყობილობები	SPA 120029135	ტენდერი არ შედგა	60. 31.01.2013 61.31.01.2013	შპს „ქუთმედი“ შპს „ბიოიმპიანტი ჯორჯია“	2875 1440
2	ტროპონინ „T“ განსასაზღვრი ტესტ სლაიდები	SPA130019787	დასრულდა უარყოფითი შედეგით	103. 9.07.2013	შპს „მირკო“	2300

¹⁶ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2

¹⁷ საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მუხლი 73², მე-4 ნაწილი

¹⁸ „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

➤ 2013 წელს 2 შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურების შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებლად განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის ფორმით¹⁹. აღსანიშნავია, რომ შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, გამარტივებული შესყიდვის ფორმის გამოყენებას საფუძვლად უდევს, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაშვება მომსახურების მიმწოდებლის ექსკლუზიური უფლების შესახებ, თუმცა აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი;

N	ხელშეკრულების N და თარიღი	ხელშეკრულების საგანი	სახელშეკრულებო ღირებულება (ლარი)	მიმწოდებელი
1	34. 14.01.2013	სამედიცინო მომსახურება	120000	შპს „ბათუმის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი
2	35. 14.01.2013	სამედიცინო მომსახურება	40000	შპს „მრჩეველი“

➤ მედიკამენტებისა და სხვა სამედიცინო საშუალებების მიწოდების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დადგინდა, აღნიშნული ხელშეკრულებების შესრულების მდგომარეობა. კერძოდ, სასაქონლო ზედნადებებში არ არის აღნიშნული იმ ხელშეკრულების ნომერი, რომლის ფარგლებშიც იქნა მიწოდებული საქონელი და ამასთან რიგი მიღება-ჩაბარების აქტები არ არის ხელმოწერილი საქონლის მიმღების მიერ. შესაბამისად, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო სათანადო რწმუნება მედიკამენტებისა და სხვა სამედიცინო საშუალებების მიწოდების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების კანონიერებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია

შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად უნდა განხორციელდეს. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობები უნდა უზრუნველყოფდეს შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიან და არადისკრიმინაციულ მიდგომას, რაც ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისა და

¹⁹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „რ“ ქვეპუნქტი

საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ერთ-ერთი პირობაა. ამასთან, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმდეს მონეტარული ზღვრების დავით.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს უშუალოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, ასევე სასამართლოში კანონით დადგენილი წესით.


აუდიტის ჯგუფის წევრები:

აუდიტის ჯგუფის ხელმძღვანელი:

გოჩა შარაბიძე /უფროსი აუდიტორი/

 1.07.2015წ.

გურანდა გვაზავა /აუდიტორი/

 1.07.2015წ.